



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №34

2019 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი სკურდიდის ქუჩების სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის სოფლებში ქუჩების სახელდების საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. შემოადინებულიდან გამომდინარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სკურდიდის ქუჩების სახელდება თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას კანონით დადგენილ ვადებში სოფელ სკურდიდის ტერიტორიაზე განსათავსებელი მისამართის მანიშნებელი აზრების შესყიდვა და მონტაჟი.
3. განკარგულების თაობაზე ეცნობოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე